20-21-22 სექტემბერი
დავასუფთაოთ მსოფლიო

გარემოს დასუფთავების საერთაშორისო დღეებია

130 ქვეყანა ფართომასშტაბიანი დასუფთავების აქციებით ერთდროულად იღებს მონაწილეობას კამპანიაში ,,დავასუფთაოთ მსოფლიო“

ადამიანები გაერთიანდნენ ერთი იდეის გარშემო - შეუქმნან საკუთარ შვილებს და ოჯახს ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების პირობები.

რამდენიც არ უნდა მოინდომოს სახელმწიფომ, თუ თითოეული ჩვენგანი არ გავითავისებთ პრობლემას და არ გავხდებით პასუხისმგებელი ყოველი გადაგდებული, თუნდაც სულ პატარა ქაღალდის ნაგლეჯის მიმართ, დავრჩებით დანაგვიანებული ქვეყნის ამარა და ეს ნამდვილად არ იქნება საამაყო.

შემოგვიერთდი და ჩვენთან ერთად

დაასუფთავე შენ!

მაგალითი მიეცი სხვას!

შეუნარჩუნე შვილებს ჯანსაღი გარემო და უზრუნველყავი მათი მომავალი

შ ე მ ო გ ვ ი ე რ თ დ ი თ!!!

Clean Up Georgia
დავასუფთაოთ საქართველო



დასუფთავების საერთაშორისო აქცია ტარდება არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველოს ორგანიზებით. პროექტის (,,დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა II)) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი (,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი ,,ეკოხედვა“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი ,,ორქისი”), ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება - შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ **დაგვიკავშირდეთ:**

ქ.თბილისი, პეკინის 10
ტელ: 032 233 00 32
032 230 62 21
ელ-ფოსტა: info@greens.ge
ან ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს:
www. cleaup.ge

Clean Up the World

Our Place... Our Planet...
Our Responsibility

ჩვენი ქვეყანა...
ჩვენი პლანეტა...
ჩვენი პასუხისმგებლობა

დავასუფთაოთ მსოფლიო! დავასუფთაოთ საქართველო!

2013

Friends of the Earth International

GSNE "Orchis"

ecovision.ge

SWEDEN

2013

დაბინძურებული გარემო საშიშროებას უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. აიღეთ პასუხისმგებლობა, შეკრიბეთ თანამოაზრეები. შემოგვიერთდით და შეუქმენით საკუთარ შვილებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების პირობები.

ჩაერთეთ თავად...
დაინტერესეთ ახლობლები...
გამოიჩინეთ ინიციატივა...

გ ა ხ ს ო ვ დ ე თ!

რა უნდა ვიცოდეთ ...

ადამიანის ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ გარემო ფაქტორებს მიეკუთვნება: ქიმიური და ბიოლოგიური რეაგენტებით დაბინძურებული ჰაერი, წყალი და ნიადაგი;

დაბინძურებული წყლით გამოწვეული დაავადებებია: ქოლერა, ტიფი, კანის და თვალის ინფექციური დაავადებები, მალარია, სხვადასხვა პარაზიტებით გამოწვეული კუჭ-ნაწლავის დაავადებები (დიზინტერია, ენტეროკოლიტი, გასტრიტი, გასტროენტერიტი), ჰემორაგიული სიყვითლე, ენცეფალიტი, პოლიომილიტი, ჰეპატიტი, სალმონელოზი და სხვა.

დაბინძურებული ჰაერით გამოწვეული დაავადებებია: ასთმა, ფილტვების ანთება, ტუბერკულოზი და ფილტვის სხვა დაავადებები, ფილტვის კიბო, წითელა,სხვადასხვა იმუნური და ალერგიული დაავადებები. ასევე, გულის სხვადასხვა დაავადებები, მათ შორის გულის შეტევა და ინსულტი.

ნიადაგის დაბინძურებას ძირითადათ იწვევს ნიტრატების და პესტიციდების არასწორი და გადამეტებული მოხმარება. ეს ნივთიერებები ნეიროტოკსიკურობით, კანცეროგენულობით, იმუნოტოქსიკურობითა და ენდოკრინულ სისტემაზე ტოქსიკური ზემოქმედებით ხასიათდებიან და ბუნებაში ხანგრძლივი დაბინძურების ეფექტით გამოირჩევიან.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ნარჩენების შესამცირებლად თითოეულმა ჩვენგანმა?

- ყოველი ყიდვის დროს თან ვიქონიოთ ნაჭრის ჩანთა, რათა თავიდან ავიცილოთ პოლიეთილენის პარკების გამოყენება (დაშლის პერიოდი 200-1000 წელი);
- უპირატესობა მივანიჭოთ მინის ჭურჭელში ჩამოსხმულ სასმელებს. ნაკლებად შევიძინოთ პლასტმასის ბოთლებში და ალუმინის ქილებში ჩამოსხმული სასმელები (დაშლის პერიოდი 450 და 200-500 წელი);
- შევეცადოთ, ყიდვისას უპირატესობა მივანიჭოთ რეციკლირებად (ანუ გადამუშავებას დაქვემდებარებულ) პროდუქტებს;
- არ დავტოვოთ ჩვენს შემდეგ დანაგვიანებული გარემო და ნუ ჩავყრით მდინარეებში და წყალსაცავებში საყოფაცხოვრებო ნაგავს.

ეს არც თუ ისე ძნელია ...

მოკლედ: მოვიქცეთ ისე, როგორც ეკადრება ცივილიზებულ და თავის ქვეყანაზე შეყვარებულ ადამიანს.